ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3406312

ნომერი: AR1517007

თარიღი : 23.06.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 12.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ქუჩა სტრაბონი , N22 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა სტრაბონი , N 22-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , სტრაბონის ქუჩა N22-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 ივნისის №AR1517007 განცხადებით მომართეს თამაზი მურვანიძე და გიორგი გომარელმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.040.269; ფართობი: 950 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღევანდელი მდგომარეობით გაზრდილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, შეიცვალა საკადასტრო მონაცემები, შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ ცვლილებას შეცვლილი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 19 დეკემბრის #2397 ბრძანებაში ცვლილების შეტანის, კერძოდ „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში სტრაბონის ქ. N22-ში, სტრაბონის ქ. N22- ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის განახლებული საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.672) დაფიქსირების საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე (13.07.2017) და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება და ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.672, განცხადების ნომერი: 882017490293 მომზადების თარიღი: 09/06/2017 ფართობი: 999 კვ.მ;) საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: N01.72.14.040.672, ფართობად 999 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 აგვისტოს N1-1710 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.